ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

განკარგულება:**გ-29. 2924339001**
თარიღი:**04/12/2024**

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიმდინარე ანგარიშების მომსახურე კომერციული ბანკის შესარჩევი კონკურსის პირობების და ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-3 ნაწილისა და 61-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის **საკრებულომ,**

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

მუხლი 1. დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიმდინარე ანგარიშების მომსახურე კომერციული ბანკის შესარჩევი კონკურსის პირობების და ჩატარების წესი დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4. განკარგულება ჩაბარდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს.

მუხლი 5 . განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში, ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. N7) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიორგი ბარათაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2400 ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. 7 ტელ. 049122-12-76; 7, CHANTURIDZE STR. TERJOLA,
TEL: 049122-12-76 EMAIL: TERJOLASAKREBULO@GMAIL.COM

დანართი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიმდინარე ანგარიშების მომსახურე კომერციული ბანკის შესარჩევი კონკურსის პირობები და ჩატარების წესი

მუხლი 1. კონკურსის პირობები

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიმდინარე ანგარიშების მომსახურე კომერციული ბანკის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ბანკი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) არ უნდა ხორციელდებოდეს ბანკის ლიკვიდაცია და არ უნდა იმყოფებოდეს გადახდისუუნარობის/გაკოტრების ან რეაბილიტაციის რეჟიმში;

ბ) ბანკის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა;

გ) ბანკმა უნდა უზრუნველყოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო გადარიცხვების ელექტრონული სისტემის გამართვა, შემდგომი მომსახურება.

2. კონკურსში მონაწილე ბანკმა საკონკურსო წინადადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ, რეკვიზიტების მითითებით;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრიდან , რომ ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული, არ ხორციელდება მისი ლიკვიდაცია და არ არის გადახდისუუნარობის/გაკოტრების ან რეაბილიტაციის რეჟიმი;

გ) ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული.

3. კონკურსში მონაწილე ბანკის საკონკურსო წინადადება უნდა მოიცავდეს (და არ შემოიფარგლებოდეს) ინფორმაციას შემდეგი საკითხების შესახებ:

ა) მომსახურების ტარიფები, მათ შორის თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკონკურსო პირობას წარმოადგენს:

ა.ა) უნივერსალური ანგარიშის გახსნა-უფასო;

ა.ბ) ორგანიზაციის გადარიცხვები ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში – უფასო;

ა.გ) ორგანიზაციის ანგარიშზე ნაღდი ფულის (ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში) შეტანა და გატანა – უფასო;

ა.დ) საკონვერტაციო ოპერაციები – კონვერტაციის დღეს არსებული ბანკის კომერციულ კურსთან შედარებით შეღავათიანი ტარიფებით;

ა.ე) ანგარიშზე ჩატარებული ოპერაციების ჩამონათვალის (ამონაწერის) მიწოდება – უფასო;

ა.ვ) ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი, პროგრამით გათვალისწინებულ ბენეფიციარებზე ანგარიშის გახსნა – უფასო;

ა.ზ) ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისათვის ანგარიშის გახსნა – უფასო;

ა.თ) თანამშრომლებზე საბარათე ანგარიშების გახსნა და ოვერდრაფტის დაშვება;

ა.ი) თერჯოლის მუნიციპალიტეტის (მერია, საკრებულო) თანამშრომლებზე კრედიტის (სახელფასო, იპოთეკური, სამომხმარებლო) გაცემის უზრუნველყოფა;

ა.კ) სარგებლის დარიცხვა საანგარიშო თვის განმავლობაში ყოველი დღის ბოლოს და მისი ასახვა ბიუჯეტის ანგარიშზე განხორციელდეს ყოველი საანგარიშო თვის ბოლო დღეს;

ა.ლ) მიმდინარე ნაშთზე დასარიცხი წლიური სარგებელი არანაკლებ 16 %-სა;

ა.მ) სახელფასო პროგრამის ტარიფები.

4. ფილიალი აუცილებელია მდებარეობდეს ქალაქ თერჯოლის ტერიტორიაზე.

5. ბანკომატი აუცილებელია მდებარეობდეს ქალაქ თერჯოლის ტერიტორიაზე, ან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში განათავსოს ქალაქ თერჯოლის ტერიტორიაზე.

6. ბანკომატი აუცილებელია მდებარეობდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობასთან ახლოს, რომელიც კონკურსში გამარჯვებულმა პირმა უნდა განათავსოს საბანკო და სახელფასო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

7. დამატებითი მომსახურების სახით:

ა) თანამშრომლებზე აქამდე გაცემული ოვერდრაფტებისა და სახელფასო სესხების პორტირება გამარჯვებულმა ბანკმა უნდა განახორციელოს მათთვის ფინანსური პირობების გაუარესების გარეშე, თანამშრომლების მხრიდან მოთხოვნის შემთხვევაში;

ბ) თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებზე განახორციელოს VIP მომსახურება.

მუხლი 2. კონკურსში მონაწილეობის წესი

1. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოში დადგენილი წესით ლიცენზირებულ კომერციულ ბანკს.

2. კონკურსში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის პირმა რეგისტრატორს უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) წერილობით შევსებული განაცხადი;

ბ) ამონაწერი მეწარმეთა და (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;

გ) ბანკის წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და საჭიროების შემთხვევაში – დამატებითი მინდობილობა;

დ) ამ წესის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტები.

3. კონკურსში მონაწილეთა რეგისტრაცია წარმოებს ზონარგაყრილ და დანომრილ რეგისტრაციის ჟურნალში.

მუხლი 3. კონკურსის ჩატარების წესი

1. კონკურს ატარებს კომისია, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

2. კომისიის თავმჯდომარეს განსაზღვრავს მერი.

3. კომისიის წევრთა შემადგენლობაში შედიან:

ა) თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს არანაკლებ 3 წევრი, რომლებსაც წარადგენს საკრებულოს თავმჯდომარე;

ბ) თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შერჩეული პირ(ებ)ი – თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულის უფროსი (უფროსები) და/ან განყოფილების უფროსი (უფროსები) და/ან პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (სპეციალისტები) .

გ) კომისიაში მონაწილეობის მისაღებად მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებით შესაძლებელია მოწვეულ იქნენ სხვა პირებიც.

4. კონკურსი უნდა გამოცხადდეს ადგილობრივი მასობრივი ინფორმაციის საშუალებით.

5. განცხადების მისაღებად უნდა განისაზღვროს 10 დღე.

6. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია იმ კომერციულ ბანკს, რომელმაც დადგენილი წესით გაიარა რეგისტრაცია .

7. კონკურსის დაწყებამდე კომისია ამოწმებს მონაწილეთა კონკურსზე დაშვების კანონიერებას.

8. კონკურსს ატარებს კომისია. კომისიის თავმჯდომარე ვაჭრობის დაწყებისას აცხადებს ლარში ანგარიშების ყოველდღიურ ნაშთზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის საწყის ოდენობას და ბიჯს.

9. ბიჯის ოდენობა უნდა იყოს 0,2%.

10. კონკურსზე ვაჭრობის (სავაჭრო ვაჭრობა) დასაწყისად ითვლება საპროცენტო სარგებლის საწყისი ოდენობის გამოცხადების მომენტი.

11. ვაჭრობის დროს კონკურსის თითოეულ მონაწილეს უფლება აქვს მოახდინოს განცხადების (ბიჯი) შეთავაზება საპროცენტო სარგებლის თაობაზე, რომელიც არ უნდა იყოს დაწესებულ ბიჯზე ნაკლები.

12. თუ კონკურსში მონაწილეობს მხოლოდ ერთი მონაწილე, სავალდებულოა მის მიერ საპროცენტო სარგებლის თაობაზე ერთი განცხადების (ბიჯი) შეთავაზება მაინც.

13. ვაჭრობის დამთავრებულად ითვლება, თუ კომისიის თავმჯდომარემ სამჯერ მოითხოვა საბოლოო განცხადების (ბიჯი) შეთავაზება საპროცენტო სარგებლის თაობაზე და ასეთი ვერ მიიღო.

14. ვაჭრობაში გამარჯვებულად ავტომატურად ითვლება, ვინც კომისიას შესთავაზა ბოლო განცხადება საპროცენტო სარგებლის თაობაზე. გამარჯვებულს აცხადებს კომისიის თავმჯდომარე.

15. კონკურსს დასრულებულად აცხადებს კომისიის თავმჯდომარე.

16. კონკურსის ჩატარებას სავალდებულოა ესწრებოდეს კომისიის არანაკლებ ნახევარზე მეტი.

17. კომისიის საქმიანობას ხელმძღვანელობს და კონკურსის ჩატარებას საერთო კოორდინაციას უწევს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნისას – კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

18. კომისიის მდივანი უზრუნველყოფს კონკურსის შესახებ ინფორმაციის საჯაროობას, კომისიის წევრების ინფორმირებას კონკურსის დროის თარიღისა და ადგილის შესახებ, საჯარო ვაჭრობის მიმდინარეობის შესახებ ოქმის შედგენას და საჯარო ვაჭრობასთან დაკავშირებული სხვა უფლებამოსილების განხორციელებას.

19. საჯარო ვაჭრობის დაწყებამდე კომისია ამოწმებს დაინტერესებული პირის კონკურსის მონაწილედ რეგისტრაციის კანონიერებას, ასევე საჯარო ვაჭრობაზე გამოცხადებული პირის ვინაობას და რწმუნდება, რომ დაინტერესებული პირის კონკურსის მონაწილედ რეგისტრაცია განხორციელდა კანონიერად, ხოლო საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებად გამოცხადებული პირი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში, როგორც კონკურსის მონაწილემ ან და კონკურსის მონაწილის წარმომადგენელმა.

20. თუ კომისია დაადგენს, რომ დაინტერესებული პირის კონკურსის მონაწილედ რეგისტრაცია განხორციელდა კანონდარღვევით, ასევე საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებად გამოცხადებული პირი არაუფლებამოსილია საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, როგორც კონკურსის მონაწილის წარმომადგენელმა, კომისია საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებად გამოცხადებულ პირს უარს ეტყვის საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობაზე.

21. საჯარო ვაჭრობის შესახებ კომისიის მიერ დგება საჯარო ვაჭრობის მიმდინარეობის შესახებ ოქმი.

მუხლი 4. გარიგებათა გაფორმების წესი

1. სავაჭრო ვაჭრობის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან მხარეთა შორის ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება, რომელიც წარმოადგენს მხარეთა შორის ურთიერთობის ძირითად დოკუმენტს.

2. ხელშეკრულების გაფორმება უნდა განხორციელდეს საჯარო ვაჭრობის მიმდინარეობის შესახებ ოქმის დამტკიცების თაობაზე შესაბამისი აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით. აღნიშნული ვადის დარღვევის შემთხვევაში კონკურსის შედეგები უქმდება, რომელიც არ საჭიროებს დამატებითი წერილობითი გადაწყვეტილების მიღებას.

3. მხარეთა შორის დასადებ ხელშეკრულებაში, სავალდებულოა გათვალისწინებული იქნეს კონკურსის პირობები, საქართველოს კანონმდებლობით და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების

შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობის ფორმები, სხვა მონაცემები გასაფორმებელი ხელშეკრულების სპეციფიკის გათვალისწინებით.

4. ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე მონიტორინგს ახორციელებს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური.

5. კონკურსში გამარჯვებულ ბანკთან ორგანიზაციის თანამშრომელთა სახელფასო პროექტით მომსახურების ხელშეკრულების გაფორმება ორგანიზაციისათვის არ ატარებს სავალდებულო ხასიათს და იგი შეიძლება გაფორმდეს დამატებით მხოლოდ ორგანიზაციის გადაწყვეტილებით. სახელფასო პროექტით მომსახურება განიხილება ბანკსა და ორგანიზაციას შორის დამოუკიდებელ ურთიერთობად.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე